ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-30222986**
თარიღი: **25/10/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2022 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ;

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულებით შევიდა ცვლილება (16.08.2021) წლის N1419 განკარგულებაში, ცვლილების შედეგად სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოყოფილი თანხა შემცირდა 18062 ლარით, მათშორის ცენტრალური დაფინანსება 17881 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 181 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად ქ.ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია შემცირდა 14781 ლარით. მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 14042 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 739 ლარით. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდა 169728,14 ლარით.

შემოსული მოთხოვნების განხილვის შედეგად; ააიპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება გაიზარდა 11872 ლარით, ააიპ სპორტული ცენტრის დაფინანსება 24640 ლარით, ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება 50000 ლარით, სარეზერვო ფონდი 10000 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი 5000 ლარით, საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯი 5000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა 90000 ლარით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება 5000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა 10000 ლარით, ხოლო ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდა 13000 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო

დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის 8000 ლარით და მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე. სპორტის ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლის 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2000 ლარით.

მომსახურების გაწევიდან შემოსავლების ფაქტიური დინამიკის გათვალისწინებით გეგმა შემცირდეს 20000 ლარით და განისაზღვროს 30000 ლარით. შემოსავლის შემცირებისა და გაზრდილი ხარჯების დაბალანსების მიზნით გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებლის გეგმა 10500 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების 150000 ლარით, ასევე ხარჯების დაბალანსების უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან მიიმართოს 70092 ლარი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი